



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება



განკარგულება:გ-13.13220567

თარიღი:25/02/2022

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „სავანე“ (ს/კ 404400689)
წესდების დამტკიცების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, მოახდინოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „სავანე“ (ს/კ 404400689) წესდების დამტკიცება წარმოდგენილი დანართი 1-ის შესაბამისად.
2. სარეგისტრაციო მონაცემების ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ახალციხის რაიონულ სასამართლოში.

(მისამართი: ქ. ახალციხე, მებაღეშვილის ქ. N60ბ).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ს ა გ ა ნ ე“

წ ე ს დ ე ბ ა

ქალაქი ახალციხე

2022 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საწარმოს ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) ხოლო საფირო სახელწოდებაა „სავანე“.
2. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სავანე“. (შემდგომში „საზოგადოება“), წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-სა და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მეწარმე სუბიექტს რომელიც შექმნილია მოგების მიღების მიზნით. ეწევა სამეწარმეო საქმიანობას ორგანიზებულად და დამოუკიდებლად.
3. მეწარმე სუბიექტის მისამართია - საქართველო, ქ. ახალციხე; შ. ახალციხელის ქ. №2
4. საზოგადოება, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, იურიდიული პირის უფლებებსა და მოვალეობებს იძენს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
5. საზოგადოებას აქვს საკუთარი ბალანსი, ანგარიშსწორების ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი და დადგენილი წესით სარეგისტრაციო საფირმო სასაქონლო ნიშნები.
6. საზოგადოებას შეუძლია შეიძინოს ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები, იყოს მოსარჩელე/მოპასუხე სასამართლოში, საკუთარი სახელით დადოს ხელშეკრულებები, გარდა ქონების გასხვისებასთან, სარგებლობის უფლებით გადაცემასთან, საკრედიტო ვალდებულებების ან მიზნობრივი სესხების აღებასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებს დამფუძნებლის თანხმობას საქართველოს ორგანული კანონით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-თ განსაზღვრული წესით.
7. საზოგადოების პასუხისმგებლობა კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი თავისი ქონებით.
8. საზოგადოებას შეუძლია დამფუძნებელთან შეთანხმებით, დააარსოს ფილიალი „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.
9. საზოგადოება შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
10. საზოგადოების დამფუძნებელია ახალციხის მუნიციპალიტეტი ს/კ 224101317.

მუხლი 2. საზოგადოების საქმიანობის სფერო

1. საზოგადოება ახორციელებს საქმიანობას შემდეგი მიმართულებით:
 - ა) ქალაქ ახალციხეში არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობა;
 - ბ) ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, საზოგადოებისა და დამფუძნებლის ინტერესებს;
2. საზოგადოებას უფლება აქვს, მოგების მიღების მიზნით განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს საქმიანობა სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული. ის საქმიანობა, რომელს განხორციელებაც კანონმდებლობით შესაძლებელია მხოლოდ სპეციალური ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე, დასაშვებია მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის/ნებართვის მიღების მომენტიდან.

მუხლი 3. საზოგადოების ქონება

1. იურიდიული პირს საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს უძრავი და მოძრავი ქონება.
2. იურიდიული პირის ქონება იქმნება მიზნობრივი შენატანებით და სხვა საშუალებით, რომელიც აკრძალული არ არის საქართველოს კანონმდებლობით.

3. გაერთიანების ბალანსზე არსებული ქონება, სხვა ქონებასთან ერთად, გამოიყენება მხოლოდ წესდებით დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

მუხლი 4. საზოგადოების დამფუძნებელი და მისი კომპეტენცია

1. საზოგადოების დამფუძნებელია ახალციხის მუნიციპალიტეტი, რომელიც საზოგადოების 100 %-იანი წილის მფლობელია.
2. დამფუძნებელს უფლება აქვს:
 - ა) მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების მართვაში;
 - ბ) მოითხოვოს საზოგადოების სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, გაეცნოს მათ პირადად, შესაბამისი სამსახურის ან დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით, გააკეთოს დოკუმენტის ასლები;
 - გ) მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების წმინდა მოგების ან სხვა საკითხების განაწილებაში;
 - დ) მიიღოს წლიური ანგარიში და საზოგადოების ყველა პუბლიკაცია;
 - ე) შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან აუდიტორის მეშვეობით და საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები წლიური ანგარიშის წარდგენის შესახებ.

მუხლი 5. საზოგადოების დირექტორი

1. საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ენიჭება ორგანიზაციის დირექტორს, რომელსაც ნიშნავს და ანთავისუფლებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი.
2. საზოგადოების დირექტორი ანგარიშვალდებულია დამფუძნებლის წინაშე.
3. საზოგადოების დირექტორი, მუნიციპალიტეტის მერთან შეთანხმებით, ამტკიცებს საზოგადოების საშტატო ნუსხასა და თანამდებობრივ სარგოებს.
4. საზოგადოებას სასამართლოში, მესამე პირებთან და სხვა ურთიერთობებში წარმოადგენს დირექტორი.
5. დირექტორის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებები განისაზღვრება წინამდებარე წესდებით, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით და დამფუძნებლის მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით.
6. იმ შემთხვევაში თუ დირექტორის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებები არ შესრულდება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად იგი ვალდებულია აუნაზღაუროს საზოგადოებას მისი ქმედებით/უმოქმედობით მიყენებული ზარალი.
7. დირექტორი ვალდებულია სამსახურობრივი უფლებამოსილებების შეჩერების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში (მივლინება, შვებულება და ა.შ.) აცნობოს აღნიშნულის თაობაზე დამფუძნებელს, დამფუძნებელი კი საჭიროების შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობის შესრულებას დააკისრებს შპს-ს თანამშრომელს.
8. დირექტორი ადგენს საბუღალტრო ანგარიშს წლიური და სამეურნეო მდგომარეობის შესახებ, ასევე წმინდა მოგების განაწილების წინადადებას, რომელსაც წარუდგენს დამფუძნებელს.

მუხლი 6. საზოგადოების ლიკვიდაცია

საზოგადოების რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია ხორციელდება დამფუძნებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები.

1. წესდებაში ცვლილებების/დამატებების შეტანა დაიშვება დამფუძნებლის გადაწყვეტილების შემთხვევაში, რომელიც ძალაში შედის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ.
2. წესდების ყველა რეგისტრირებული ცვლილება/დამატება ავტომატურად ხდება მისი განუყოფელი ნაწილი.
3. თუ წესდების ერთი ან რამდენიმე დებულება (მუხლი) დაკარგავს ძალას, ეს არ გამოიწვევს წესდების გაუქმებას.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი

/---ირაკლი ლაზარაშვილი---/